

მართვალი თერმობირთვული სინთეზის ალტერნატიული მოდელი

გურამ ბერია

საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი,
e-mail: berria.gurram255@gmail.com

რეზიუმე

საქართველოს ენერგეტიკული პრობლემები მსოფლიოს პრობლემების კომპონენტაა. ჩვენ ცივილიზაციას ემუქრება ენერგეტიკული კრიზისი უახლეს რამდენიმე ათეული წლის ფარგლებში, წარმოდგენილი რესურსების ამოწურვის შედეგად. ერთადერთი რადიკალური გამოსავალი ამ პრობლემიდან მართვადი თერმობირთვული სინთეზის (მთს) განხორციელებაშია, მაგრამ მისი რეალიზაცია აწყდება სერიოზულ არაპროგნოზირებად სიძნელეებს, რომელთა გადალახვა დღემდე რჩება პრობლემად. ამის მიზეზი არის ეგრეთ წოდებული “სამეცნიერო ვირუსები”, დოგმებად გადაქცეული აქსიომური შეცდომები. მათი გადალახვა შესაძლებელია ანომალური მოვლენებისა და უახლოესი ფუნდამენტური აღმოჩენებისას ასევე ასეთი უნივერსალური ხასიათის არიალია არის იშვათი ატმოსფერული მოვლენა – სფერული ელვა. სფერული ელვა შეიცავს თავის არსში მეცნიერებისათვის ბუნების ჯერ კიდევ უცნობ ფუნდამენტურ კანონს. მისი თვისებების ანალიზმა საშუალება მოგვცა ამოგვეხსნა ამ მოვლენის ბუნება, მიგნებულ და მოცილებულ იქნა “ვირუსი”, რის შემდეგაც იხსნება ახალი, ალტერნატიული გზა მთს-ის განხორციელებისაკენ.

საკანონო სიტყვები: მართვადი თერმობირთვული სინთეზი. მეთოდოლოგია. ალტერნატივა. ენერგია. ანომალია. კლასტერი.

1. შესავალი

თანამედროვე ცივილიზაციის წლიური ენერგოსარჯები საშუალოდ აღწევს 10^{21} ჯოულს [1]. ენერგიის წყაროები დეფიციტური, არა ეკოლოგიური და ამოწურვადია, ხოლო მათი გამოყენების მარგი ქმედების კოეფიციენტი ძლიერ დაბალი. მსოფლიო ენერგეტიკული კოლაბის ზღვარზე დგას. ენერგეტიკული შიშვილის აჩრდილი თავზე დასტრიალებს მომავალი ისტორიის უახლესს ათწლეულებს. ერთადერთი რადიკალური გამოსავალი კოლაბისიდან არის მართვადი თერმობირთვული სინთეზის (მთს)-ის განხორციელება. ამ მიმართულებით მეცნიერული კვლევები დაიწყო ჯერ კიდევ 1950 წელს და მისი დამთავრება დაგეგმილია 2050 წლისათვის. პროექტში ჩართულია მსოფლიო წამყვანი ქვეყნები. მთს-ის პრობლემის ამოხსნა იქნება ახალი ეპოქის დასაწყისი კაცობრიობის ისტორიაში, ცივილიზაციას გაუზიდება ენერგიის წყარო, რომელიც მას დიდი მარაგით ეყოფა ათეული მილიონი წელი, თუ მეტი არა [1, 2]. პიდროველექტრო კაშხალი თავის ფუნქციას დაკარგვებს და გადაქცევა სრულიად უსარგებლო არქეოლოგიურ ძეგლად. ეს მოსალოდნელია მოხდეს არც თუ ისე შორეული მომავალში. ყველაფერი დამოკიდებულია მეცნიერით გამჭრიანობაზე.

ადრე ქართველი მეცნიერები აქტიურად იყვნენ ჩართული მთს-ის კვლევებში, მაგრამ ამჟამად ეს მიმართულება ჩვენთან სავსებით მივიწყებულია და მთელი ყურადღება გადატანილია ჰიდროელექტროსადგურებსა და სხვა განახლებადი ენერგიის წყაროებზე. ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილია გაეთღეს შედარებები ენერგიის ამჟამად მოქმედი და მომავალი, მთს-ს წყაროს პოტენციალურ შესაძლებლობებს შორის.

ექსპერტების დასკრინის თანახმად ქიმიური ენერგიის წყაროები: ნავთობი, აირი, ქვანახშირი უახლესი 50 წლის ფარგლებში ძირითადად ამოწურება, რასაც გარდაუვალად მოყვება შესაბამისი სოციალური კრიზისები. განახლებადი ენერგიის წყაროები მხოლოდ ნაწილობრივ თუ აანაზღაურებს ენერგიის დეფიციტს და ისიც მხოლოდ იმ პირობით, რომ უზრუნველყოფილია გარემოს მუდმივი სტაბილურობა. სტიქიური კატასტროფების, (მიწისძვრები, ციკლონები, ტორნადო, ცუნამი, ასტეროიდები და სხვა), შემთხვევებში ამგვარი ენერგიის წყაროები აპსოლუტურად არაეფექტურია. ამ რეალობას ადასტურებს არა მარტო ახლო და შორეული წარსულის გამოცდილება. კატასტროფები მეორდება ამჟამადაც ყოველწლიურად. მხოლოდ 2013

წელს სტიქიური კატასტროფებისაგან ზარალმა მთელი მსოფლიოში შეადგინა 92 მილიარდი ევრო, 20 000-მდე ადამიანი დაიღუპა.

2005 წელს ციკლონმა “ქეთრინმა” წყალში ჩაძირა ქალაქი ახალი ორლეანი. 125 მილიარდი დოლარის ზარალი მიაუყნა მან შეერთებულ შტატებს. ციკლონებისა და ტორნადოებისაგან ბოლო 10 წლის განმავლობაში ამ ქვეყნის ზარალმა მიაღწია 350 მილიარდ დოლარს. ეს ფაქტები ნათლად გვიჩვენებს თუ რამდენად უძლურია თანამედროვე ენერგეტიკა და მასზე მომუშავე ტექნიკა სტიქიის წინაშე. შედარებით მეტი ენერგეტიკული რესურსები აქვს ურანის ბირთვულ ელექტროსადგურებს, მაგრამ აქ მათ თან მოვყება სიცოცხლისათვის განსაკუთრებით საშიში საფრთხე, გამჭოლი რადიაცია, რომლის საბედისწერო შედეგები კაცობრიობამ უკვე შეიცნო ჩერიასინსკის (1957 წელი), ჩერნობილის (1986 წელი) და ფუკუსიმას (2011 წელი) კატასტროფების სახით.

აქ ჩამოთვლილი ადამიანური მასშტაბებისთვის გიგანტური დანაკარგები ბუნებისათვის არის მიზეული წვეთი სამყაროს უკიდეგანო ენერგეტიკულ ოკეანუში. შემაშფოთებელი ის კი არ არის, რომ ამგვარი კატასტროფები გვატყდება თავზე. საგანგაშო ის არის, რომ ძირითადად მაინც ბუნებაში ჭარბობს სტაბილურობა და სიწყვარე. ეს ქმნის მოღუნებისა და თვითგანცხრომის ეფურიას. გვგონია, რომ მუდამ ასე იქნება. მომავალი გაურკვევლობის ბურუსში არის გახვეული. არ არის გამორიცხული, რომ წინ გველის საბედისწერო არმაგედონი, რომელიც მოულოდნელად დაგვატყდება თავზე. მეცნიერება არის მთავარი პასუხისმგებელი ამ პოპლემების, ენერგიის დეფიციტისა და სტიქიური კატასტროფების გამო. მხოლოდ მეცნიერებას შეუძლია მოავაროს ისინი ერთხელ და სამუდამოდ. ეს მისი პირდაპირი მოვალეობაა. მაგრამ, სამწუხაროდ, ის ამ მოვალეობას ვერ ასრულებს. თანამედროვე მეცნიერება ღრმა სტაგნაციაში არის ჩავარდნილი.

2. ძირითადი ნაწილი

მართვადი თერმობირთვული სინთეზის გასსახორციელებლად საჭიროა ინგლისული ფიზიკოსის ლოუსონის (Lawson J. D.) კრიტერიუმის პირობების დაცვა. ის განსაზღვრავს გარკვეულ ფარდობას პლაზმის არსებობის დროს, წნევისა და ტემპერატურას შორის და მას აქვს შემდეგი სახე:

$$n \tau \geq \frac{12T}{\langle \sigma v \rangle E_\alpha - 1,34 \cdot 10^{-14} T^{1/2}} \quad (1)$$

n – პლაზმის სიმკვრივეა, სმ^{-3} ; T – პლაზმის ტემპერატურა, კევ; $\langle \sigma v \rangle$ - გასაშუალოებული თერმობირთვული რეაქცია მაქსველის განაწილების მიხედვით; τ – პლაზმის არსებობის დრო, წმ; E_α – ალფა-ნაწილაკების ენერგია, კევ.

პრაქტიკული მნიშვნელობის რეაქცია დაიწყება როდესაც განტოლებაში შემავალ კომპონენტები მიაღწევს შემდეგ რიცხვით მნიშვნელობებს:

$$n \geq 10^{14} \div 10^{15} \text{ სმ}^{-3}; \quad \tau \geq 0,1 \div 10 \text{ წმ}; \quad T \geq 10^8 \div 10^9 \text{ K}. \quad (2)$$

ამ პირობების რეალიზაცია საწყის ეტაპზე ითვლებოდა შედარებით მარტივ ამოცანად, მაგრამ საკმაოდ სწრაფად გაირკვა, რომ ეს არის ურთულესი პრობლემა და დღემდე არ არის გადაწყვეტილი. 1-ელ ნახაზზე წარმოდგენილია ლოუსონის კრიტერიუმისა და მოქმედი თერმობირთვული დანადგარების: ტოკომაკების, სტელარატორების, ლაზერების, მაგნიტური მახების პოზიციები, რომლებიც მათ ეკვათ 1980 წლისათვის ტემპერატურის, სიმკვრივისა და დროის სქემაზე [3]. ხატოვნად რომ ვთქათ, ტოკომაკებისა, სტელარატორებისა, მაგნიტური მახებისა და ლაზერების მრავალსახოვნი დანადგარების “არმიები” ცდილობენ შტურმით აიღონ ლოუსონის “ციხე-სიმაგრე” (დაშტრისული ზონა). როგორც სქემიდნ ჩნის, იმ დროისათვის “მოიერიშები” აქლოსაც კი ვერ მიღიან მის “კედლებთან”. წარსული საუკუნის მეცნიერების ყველაზე გრანდიოზული პროგრამა სრული მარცხით დამთავრდა. ეს იყო ყველაზე ძვირად ღირებული წარუმატებლობა მეცნიერების ისტორიაში. პლაზმა არც თუ ისე ადვილი “გასახედნი” აღმოჩნდა, როგორც ეს თავიდანვე ეგონათ.

გულგატებილმა მთავრობებმა მკვეთრად შეკვეცეს პროგრამების დაფინანსება წარსული საუკუნის ბოლოსათვის, მაგრამ მთს-ის ენერგეტიკას ვერ ჩანაცვლებ ვერცერთი სხვა წყაროთ. ამ გარემოებამ გამოიწვია ლოუსონის „ციხე-სიმაგრის“ შტურმის განახლება ახალი ძალის ხმევით

XXI საუკუნის დასაწყისშივე. შეიქმნა საერთაშორისო პროგრამა სახელწოდებით ITER (International Thermonuclear Experimental Reactor). მასში მონაწილეობს ყველა განვითარებული სახელმწიფო, გამოყოფილია თანხა 16 მილიარდი ევრო. საერთაშორისო ექსპერიმენტული დნადგარი შენდება საფრანგეთის სამხრეთ რეგიონში. მისი ავტორების გათვლით ის მზად იქნება ლოუსონის კრიტერიუმის შტურმისათვის 2019 წელს, ხოლო 2030 წლისათვის ამჟამავდება პირველი სადემონსტრაციო თერმობირთვული ელექტროსადგური. საწარმოო, კომერციული საღგური შეიქმნება 2050 წლისათვის.



ნახ.1. მართვადი თერმობირთვული სინთეზის დანადგარებაზე მდგრადი პარამეტრები 1981.

T-10 – ი. კურჩატოვის სახ. ატომური ენერგიის ინსტიტუტის ტოკომაკი; სსრკ; PLT – პრიმსტრინის ლაბორატორიის ტოკომაკი, აშშ; ალგატორი – მასაჩუსეტის ტექნიკური ინსტიტუტის ტოკომაკი, აშშ; TFR – საფრანგეთის ტოკომაკი; 2xII 11 – ლივერმორის ლაბორატორიის და მახე, აშშ; ლაზერი „შივა“, ლივერმორის ლაბორატორია, აშშ; სტელარატორი „ლივენი“, ფრანგი, სსრკ; სტელარატორი „ველელშტეინი“ VII, გური, [3].

მკვლევარები ადრეც აცხადებდნენ პროექტების რეალიზაციის ვადებს, მაგრამ იძულებული იყვნენ ისტემატურად გადაეწიათ ისინი მომავლისაკენ. პირველადი იპტიმიზმი იცვლებოდა ნიპილიზმითა და გულგტებილობით. ბუნებრივად იბადება ეჭვები: იგივე ხომ არ დაემართება ITER-საც. მაგრამ ჩვენს ცივილიზაციას უკან დასახევი გზა არა აქვს: ენერგიის თერმობირთვულ წყაროს ალტერნატივა არ გააჩნია. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ დაგროვდა ამ მიმართულებთ საკმაოდ დიდი თეორიული და პრაქტიკული გამოცდილება.

წარსულში ქართველი მეცნიერები აქტიურად მონაწილეობდნენ ამ პროექტში, მაგრამ ამჟამად ისინი სრულიად გამოეთმნენ ამ მიმართულებას. ეს დიდი დანაკარგია ჩვენი მეცნიერებისათვის და საჭიროა მისი დაუყონებლივ გამოსწორება.

ორიენტაციამ ჰიდროელექტროსადგურებზე, კერძოდ, ხუდონპესის მშენებლობაზე უკვე გამოიწვია მკვეთრი კრიტიკა პრესაში და მოსახლეობის აქტიურ წინააღმდეგობას წააწყდა. მიზეზები ამგვარი უარყოფითი რეაქციას მრავლია: მოსახლეობის ჩეული საცხოვრებელი ადგილებიდან გადასახლება, ისტორიული ძეგლებისა და ეკლესიების დანგრევა, ისედაც მცირე ნაყოფიერი მიწების წყალში ჩაძირვა, ხანგრძლივი დროის მანძილზე უკვე ჩამოყალიბებული ეკოლოგიური სტრუქტურის დარღვევა, გლობალური კატასტროფის საფრთხე კაშხალის გარღვევის შემთხვევაში. ჩვენ დავამატებთ ამ საერთოდ აღიარებულ კონტრარგუმენტებს კიდევ შემდეგს:

თერმობირთვული ენერგიის მარაგი დედამიწაზე დაახლოებით მილიარდჯერ აღემატება ყველა სხვა ენერგიის მარაგს. მართვადი თერმობირთვული ელექტროსადგურების რეალიზაციის

შემდეგ პიდროსადგურების კაშხალები, როგორც უკვე აღინიშნა, გადაიქცევა ძვირად ლირებულ და უსარგებლო არქეოლოგიურ ძეგლებად და ეს მოხდება არც თუ ისე შორეულ მომავალში.

პიდროსადგურის ექვივალენტური სიმძლავრის თერმობირთვული სადგური მრავალჯერად უფრო მცირე მოცულობის იქნება და შეიძლება გაშენდეს წებისმიერ და, თუ საჭირო გახდა, მოსახლეობისგან იზოლირებულ ადგილას.

თერმობირთვული სადგურის ავარიის შემთხვევაში კატასტროფა ფაქტობრივად გამორიცხულია.

ქვემოთ წარმოდგენილია თერმობირთვული სინთეზის განხორციელების შესაძლებელი სქემა, რომელიც ჯერჯერობით არ შემოწმებულა ექსპერიმენტულად ლაბორატორიაში, მაგრამ აქვს მტკიცებულება თეორიაში და დადასტურება ბუნებრივ ანომალურ მოვლენაში.. ამგვარი მოვლენები მეცნიერებაში საკმარისზე მეტია. ილუზორეულია წარმოდგენა, რომ თითქოს-და ჩვენმა მეცნიერებამ უკვე აღმოაჩინა ბუნების ყველა ძირითადი კანონები და დარჩა აუთვისებელი მხოლოდ წვრილმანი გაუგებრობები, რომლებიც მალე გაიფანტება. ამგვარი წარმოდგენა არც თუ ისე უწყინარი მეთოდოლოგიური შეცდომაა. ამ გარემოებას ადასტურებს კოსმოლოგების მიერ 1998 წელს დადგნილი ფაქტობრივი მდგომარეობა მათ სვეროში: რაც ჩვენ ვიცით სამყაროს შესახებ, არის მხოლოდ 4% იმისა. რაც რეალურად არსებობს.

ეს არის ფუნდამენტური მნიშვნელობის აღმოჩენა, რომელიც უფრადდებოდ დარჩა ფართო საზოგადოების მიერ. ოთხპროცენტიანი დიაბაზონი არსებობს მეცნიერების ყველა მიმართულებაში და საერთოდ ჩვენი პრაქტიკული ცხოვრების ყველა სფეროების ორგანული მახასიათებელია. ის იწვევს ახალი აღმოჩენების ბლოკირებას და ამუსტრუქტებს განვითარებას. სწორედ ამით აიხსნება მეცნიერების ჩავარდნა მთს-ისა და გეოფიზიკური კატასტროფების პრობლემების წინაშე. გამოსავალი ამ მდგომარეობიდან მხოლოდ ანომალიებში შეიძლება აღმოვაჩინოთ. განსაკუთრებით საყურდღებოა ამ თვალსაზრისით იშვიათი ატმოსფერული მოვლენა, რომელიც ცნობილია სუერული ელვის სახელწოდებით. მას უკავია პირველი ადგილი ანომალურობის მასშტაბურობით. რამდენიმე თაობა მკვლევარებისა ცდილობს ამოხსნას ამ მოვლენის ბუნება [4], ზოგიერთი მონაცემებით უკვე შექმნილია 400-მდე პიროვთზა მეცნიერების მთელ რიც დარგებში, მაგრამ ამაღლ. ეს გარემოება გამდლენს საფუძველს, რომ დავუშვათ: სფერული ელვის მიღმა იმაღლება მეცნიერებისათვის ჯერ კიდევ უცნობი ფუნდამენტური კანონი.


რა შეიძლება მოგვცეს სფერულმა ელვამ მთს-ის პრობლემის გადასაჭრელად ?

სფერული ელვის თვისებები საკმარი კარგად არის გარეკეული. მკვლევარებმა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად შექმნეს 20-მდე ინფორმაციული ბანკი, რომლებშიც თავმოყრილია ბუნებაში ამ მოვლენის შემთხვევითი მხილველთა 10 000-ზე მეტი აღწერა. მათი ანალიზის საფუძველზე საკმარი მაღალი სამედობით დადგენილია მისი ძირითადი მახასიათებლები და პარამეტრები. ამ მონაცემების მიხედვით სფერული ელვის სიმკვრივე, არსებობის დრო, ტემპერატურა და რადიუსი უდრის:

$$n \approx 10^{18} \div 10^{19} \text{ სმ}^{-3}; \quad \tau \approx 1 \div 100 \text{ წელი}; \quad T \approx 10^7 \div 10^8 \text{ K.} \quad R \approx 1 \div 50 \text{ სმ} \quad (3)$$

სფერული ელვა ღიად მრავით აკმაყოფილებს ლოუსონის კრიტერიუმის პირობებს. შევიყვანოთ ექსრაპოლაციის მეთოდით ეს მონაცემები კრიტერიუმის სქემაში და საბოლოო შედეგად მივიღებთ მე-2 ნახაზს. სფერული ელვა აღმოჩნდა ლოუსონის „ციხე-სიმაგრის“ შუალები, შეიძლება ითქვას მის ციტადელში. ეს შედეგი მიიღება თავისთავად, ყოველგვარი ძირიად ღირებული დანადგარებით „შტურმის“ გარეშე. სფერული ელვა ჩნდება ბუნებრივად, ზოგ შემთხვევაში კარგ ამინდშიც კი, ყოველგვარი წინამორბედი შესამჩნევი მაპროვოცირებელი მოვლენის გარეშე, თითქოს-და არაფრისაგან.

ჩვენ ვთვლით, რომ სფერული ელვის მახასიათებლების ზუსტი დამთხვევა ლოუსონის კრიტერიუმის მოთხოვნებთან შემთხვევითი არ არის, რომ ეს არის გამოსასვლელი იმ ბნელი ჩიხიდან, რომელშიც მთს-ის პროგრამა მოექცა. ამ დასკვნის ჭეშმარიტება თუ მცდარობა გაირკვევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელთ გვექნება ამ ბუნებრივი მოვლენის ამოცანის მოხსნა. ამ მოვლენის საფუძვლიანი მეცნიერული კვლევა დაიწყო ცნობილმა ფრანგმა მკვლევარმა ფრანცისკო არაგომ 1830-აან წლებში [5].



ნახ.2. ბუნებრივი სფერული ელვისა და ხელოვნური ექსპრიმენტული თერმობაროველი დანადგარების პარამეტრების (ნახ.1) შედარება ექსტრაპოლიაციის შეთოვთ ღოუსნის კრიტერიუმის საფუძველზე. BL (Ball Lightning) – სფერული ელვა. (სქემის ზედა დაშტრიხული ნაწილი დამატებულია ავტორის მიერ)

მან ფაქტობრივად უკვე დაადგინა სფერული ელვის ძირითადი თვისებები შემთხვევით მხილველთა 30-მდე შემთხვევის ანალიზის საფუძველზე. შემდგომში არაგოს მეთოდი ფართოდ იქნა გამოყენებული რამდენიმე თაობის მკვლევართა მიერ. ამჟამად მათ მიერ შექმნილია 20-მდე ინფორმაციული ბანკი, რომლებშიც თავმოყრილია 10 000-ზე მეტი დაკვირვების მონაცემები. აღნიშვნას იმსახურებს ის გარემობა, რომ არც ერთი მკვლევარი არ ეწინააღმდეგება არაგოს პირველად დასკვნებს. პირიქით, ისინი ადასტურებენ, აზუსტებენ, აღრმავებენ მათ, რაც არაგოს მეთოდის ეფექტურობის ნიშანია, მეცნიერებამ უკვე საკმაოდ საიმედოდ იცის სფერული ელვის ფაქტობრივად ყველა მახასიათებლი, გარდა ერთისა: მან არ იცის რა არის ის.

ცინობილია: ენერგია, ზომები, ფორმა, სტრუქტურა, არსებობის დრო, სიკაშაშე, ტემპერატურა, ფერი, ხმაური, სუნი, მოძრაობის სიჩქარე და ტრაქტორიები, რეაქცია რელიეფზე და საგნებზე, გაჩენისა და გაქრობის მახასიათებლები, ყველა ამ პარამეტრების შესაძლებელი დიაპაზონები და სხვა თვალში ნაკლებ საცემი თავისებურებები. ამ მონაცემების საფუძველზე მრავალრიცხოვნი ჰამონა მეცნიერების სხვადასხვა დარგებში.

მათი მოკლე ჩამონათვალი გამოიყურება ასე: ბირთვული რეაქციები, კოსმოსიდან შემოჭრილი ანტინაწილაკები, პლაზმური კომტები, წყლის ორთქლისა და იონების კლასტერები, ფრაქტალური კლასტერები, სფერული კონდესატორები, მაღალმოლექულური იონები, ხაზოვანი ელვის გარღაქმნა სფერულ ელვად, ქიმიური რეაქციები, დამუხტელური აეროზოლები და წყლის წვეთები, აორთქლილი გამტარები, ჭაობიდან აორთქლილი აალებადი კონდესატი, გრიგალური სტრუქტურები, ზეგამტარი შენადედი, წყნარი განმუხტგა ღრუბლებსა და მიწას შორის, მაღალი სიხმირის განმუხტებები, ხაზოვანი ელვისაგან მხილველის თვალის გუგაზე დატოვებული სინათლის კვალი, სხვაპლანეტელთა ზონდები.

თითეულ ამ ჰამონებას აქვს რამდენიმე მოდიფიკაცია. საბოლოო ჯამში ჰამონების რიცხვი აღწევს ორ ასეულამდე (ზოგიერთი ინფორმაციით ეს რაოდენობა უკვე უდრის 400). სავსებით შესაძლებელია, რომ ჰამონებათა რაოდენობით ამ მოვლენამ დამყარა რეკორდი გინესის წიგნისათვის.

დიდი რაოდნობის პიპოთეზებისა და თვისებების ჩამონათვალი შესაძლებლობას იძლევა ჩატარდეს შედარებითი ანალიზი, რომელიც დაადგენს, თუ მეცნიერების რომელი მიმართულება მივიღა ყველაზე ახლოს სფერული ელვის ბუნების ამოხსნასთან, ანუ დაყენებს მკვლევარებს ანომალიის მიერ დატოვებულ ინფორმაციულ კვალზე. პიპოთეზათა მიმოხილვის მონოგრაფიები და სტატიები საქმაოდ მრავალრიცხვანია. ავტორმა ძირითადად გამოიყენა ს. სინგერის. სტასანოვის, ბარის, სმირნოვის, ლეონოვის, იმიანიტოვის საკმაოდ დეტალური მიმოხილვები. შემდეგ დანაწევრებულ იქნა სფერული ელვის თვისებები და პარამეტრები 125-მდე ელემენტარულ დიაპაზონად და გამოყვანილ იქნა ფორმულა, რომლის საშუალებითაც შეიძლება შეფასდეს პიპოთეზის პოტენციალური შესაძლებლობები:

$$R = \frac{1 - \frac{\sum N_i}{\sum M_i}}{\sqrt{1 - A}} \quad (4)$$

აქ R – პიპოთეზის რისკის მნიშვნელობაა, განსაზღვრავს მის ალბათურ შესაძლებლობას აღმოჩნდეს პრობლემის ამოხსნა; N_i – მოვლენის თვისება ან პარამეტრი, რომელიც ახსნა პიპოთეზამ; M_i – თვისებათა საერთო რაოდნობის ერთეული მდგრენელი; A – მოვლენის ანომალური თვისება მოცუმული პიპოთეზისათვის. მისი მნიშვნელობა შეიძლება იყოს ნულიდან ნებისმიერ მთელ რიცხვამდე.

ფორმულის არსი მარტივია. მაგალითად, თუ $\sum N_i = \sum M_i$ და $A=0$, მაშინ $R=0$, რაც ნიშნავს: პიპოთეზა სწორია და ამოცანა ამოხსნილია, მაგრამ, თუ $A \neq 0$, რისკის კოეფიციენტი ხდება უსასრულოდ დიდი, რაც მიანიშნებს პიპოთეზის აბსოლუტურ მცდარობაზე. ამიტომაც ანომალური თვისებების შემცველი პიპოთეზა ამოვარდება პრეტენდენთა სიიდან იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის ხსნის თვისებათა მნიშვნელოვან რაოდნობას. მიუხედავად მთელი სიმარტივისა, ამ ფორმულით მიიღება მნიშვნელოვანი მოულოდნელი შედეგი: პიპოთეზათა აბსოლუტური უმრავლესობა არის ანომალიების მატარებელი და, მოუხედავად იმისა, რომ ისინი მიეკუთვნება მეცნიერების სხვადასხვა დარგებს, მათ აქვთ სიიდან ამოვარდნის ერთი საერთო მიზეზი: პიპოთეზის საფუძველი არის უძრაობის მასის მქონე მატერია, სწორედ უძრაობის მასა თამაშობს მასში წამყან როლს და იწვევს ანომალობას დამოუკიდებლად მისი ფაზური მდგომარეობისა (მყარი, თხევადი, აიროვანი, პლაზმური, თუ იონიზირებული).

ყველაზე მეტი თვისებები, 101 ერთეული, ამოხსნა წყნარმა ელექტრულმა განმუხტვამ ღრუბელსა და მიწას შორის. მეორე ადგილზე გამოვიდა ზემაღლადი სიხშირის განმუხტვები: 77 ერთეული. ქვემოთ მოყვანილია პიპოთეზათა ცხრილი მათ მიერ ამოხსნილი თვისებების რაოდნობის მიხედვით:

1. წყნარი ელექტრული განმუხტვა ღრუბელსა და მიწას შორის.----- 80,8%.
2. ზემაღლი სიხშირის ელექტრული განმუხტვა ----- 62,6%.
3. ფრაქტალური კლასტერები ----- 46,4%.
4. წყლის ორთქლისა და ონების კლასტერები ----- 45,6%.
5. სფერული კონდესატორები ----- 45,6%.
6. ბირთვული რეაქციები ----- 44%.
7. ხაზოვნი ელვის გარდაქმნა სფერულ ელვად ----- 41,6%.
8. პლაზმური წარმონაქმნები ----- 41,1%.
9. მაღალმოლექულური ონები ----- 40%.
10. ქიმიური რეაქციები ----- 40%
11. დამუხტული აეროზოლები ----- 36%
12. აალებადი კონდესატების ნარევი ----- 34,4%
13. აერო-ჰიდრო გრიგალური წარმონაქმნები ----- 33,6%
14. აორთქლებები ჭაობიდან ----- 29,6%
15. სხვა იდეები ----- <20%

ამ ცხრილში გარკვეულად იკვთება ელექტრული განმუხტგების უპირატესობა სხვა მიმართულებებთან შედარებით. ჰიპოთეზათა ერთადერთი ჯაუფი, რომელიც თავისუფალია ანომალიებისაგან, არის ზემაღალი სიჩქრის ელექტრომაგნიტური მდგარი ტალღები. შესაბამისად მივდივართ დასკენამდე, რომ სფერული ელგას ბუნების ამოხსნა უნდა ვეძებოთ ელექტროდინამიკის თეორიაში. უძრაობის მასის მქონე კომპონენტა ამ შემთხვევაში არ არის მთავარი ფაქტორი, ის მხოლოდ მეორადი წარმონაქმნია. აღსანიშნავია, რომ ეს ჯგუფი არა მარტო სფერული ელვის ყველაზე მეტი თვისებებს ხსნის, არამედ ყველაზე მეტი ჰიპოთეზებსაც შეიცავს. მრავლრიცხოვან თეორიებს შორის თავის დროზე განსაკუთრებით წარმატებული იყო აკადემიკოს პეტრე კაპიცას შედეგები. მან შესძლო საკუთარი თეორია შეემოწმებინა ექსპერიმენტულად და მიიღო ლაბორატორიულ პირობებში მანათობელი სფერობი. გარკვეული პერიოდი ითვლებოდა კიდევაც, რომ სფერული ელვის საიდუმლოება ამოხსნილია და პირობელი დახურული, მაგრამ დროთა განმავლობაში გამოირკვა, რომ აპარატურისა და სიჩქრის ის ზუსტი პარამეტრები, რომელიც განხორციელდა ლაბორატორიაში, ბუნებრივ პირობებში მიახლოებითაც კი არ არსებობს. ექსპერიმენტულად მიღებული მანათობელი სფერობი არის მხოლოდ მიბამა, მიმიკრია ბუნებრივი სფერული ელვისა. აღსანიშნავია, რომ ამგარი მიმიკრიები სფერული ელვის მიმართ სხვა ჰიპოთეზებშიც საკმაოდ არის. პირობელი სცილდება არა მარტო კერძო ამოცანის ჩარჩოებს, არამედ ეხება საერთოდ თანამედროვე მეცნიერების კანონების სამედობას. იძულებული ვართ დაუუშვათ ორიდან ერთი: ან არსებობს მეცნიერებისათვის ჯერ კიდევ უცნობი კანონი, ან ამჟამად მოქმედ კანონების საწყისებში დაშვებულია შეცდომა. კომპიუტერული ენით რომ ვთქვათ, ამ კანონებში ჩამჯდარია “სამეცნიერო ვირუსი”, რომელიც ბლოკირებას უკეთებს ამოხსნას მანამ, სანამ კანონი არ გაიწმინდება “ვირუსისაგან”.

რამდენად გამართლებულია ტერმინი “სამეცნიერო ვირუსის” შემოყვანა? ეს საკითხი მეთოდოლოგიური ამოცანაა. ჩვენ მას ვაძლევთ შემდეგ განმარტებას: სამეცნიერო ვირუსი არის ძირითადად გარეგნულად სრულყოფილი თეორია, აგებული მცდარ აქსიომაზე, ეფექტურად მუშაობს რეალობის გარკვეულ დაიაპაზონში, მაგრამ უჩნდება ანომალია ამ დიაპაზონის მიღმა და ბლოკირებას უკეთებს, ებრძევის მეცნიერების შემდგომ განვითარებას.

არცერთი თეორია ვირუსისაგან დაზღვეული არ არის. ვირუსის მატარებელ თეორიის ტიპიურ ნიშუშად მოვიყვანთ პტოლემეს გეოცენტრულ სისტემას. ჩვიდმეტი საუკუნე დომინირებდა ის მეცნიერებაში. ეპიციკლებზე და დიფერენტებზე აგებული თეორია წარმატებით აღწერდა იმ დროს დაკვირვებად ასტრონომიულ მოვლენებს. ჩვიდმეტი საუკუნე მეცნიერება იყო გაყინული განვითარების მინიმალურ დონეზე. ინკვიზიცია კოცონებზე აგზავნიდა სხვაგარად მოაზროვნებს, ვინც კი ეჭვს ქვეშ დააყენებდა გეოცენტრიზმს. მხოლოდ XVI საუკუნეში და მხოლოდ ევროპაში შესძლო გაენთავისუფლებინა ცივილიზაცია ამ “სამეცნიერო ვირუსისაგან”. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ მეცნიერება საბოლოოდ განიკურნა. სამეცნიერო ვირუსები ამჟამადაც მრავალრიცხოვანი და მრავალსახოვანია. სწორედ ამით აიხსნება ის სიძნელები, რომლებსაც აწყდება მეცნიერება თანამედროვე პრობლემების ამოხსნაში. არასწორია ვერსა თითქოს დროში გაჭიანურებული სიძნელები მოვლენათა სირთულით არის გამოწვეული. იგივე სფერული ელვა უმარტივეს სფეროს წარმოადგინს და მისი ბუნების ამოხსნა ვერ ხერხდება მხოლოდ იმის გამო, რომ მის თეორიაში ზის ვირუსი. ჩვენ უკვე მივედით დასკნამდე, რომ სფერული ელვა თავისი თვისებებით ყველაზე ახლოს დგას ელექტროდინამიკის თეორიასთან, მაგრამ ვერ ხერხდება ამ მოვლენის და თეორიის სრული შეთანხმება. სფერული ელვა ავღნეს ორ ათეულამდე თვისებას, რომელთა ამოხსნა ტექნიკურად ვერ ჯდება თეორიის ამოცანებში. აქედან მივდივართ შემდგომ დასკვნამდე: ვირუსი ზის სწორედ ფარადეი-მაქსიმუმის ელექტროდინამიკის საწყისებში. იმისათვის, რათა მივაგნოთ მას, ჩვენ ვეძებთ ელექტროდინამიკის აქსიომების ახალ ფორმულირებას, რომლის დანიშნულება მთლიანად დააკმაყოფილოს პირველ რიგში სფერული ელვის ყველა თვისებები, ე. ი. შეკვეთი ელექტროდინამიკა სტაციალურად სფერული ელვისათვის. შემდგომმა შედარებამ კლასიკურ და სფერულელვასეულ ელექტროდინამიკებს შორის უნდა გაარკვის სად ზის ვირუსი და როგორ მოვიშოროთ ის თავიდან.

დაკვირვებათა მონაცემებით მისი ენერგია შეფასებულია მნიშვნელოვნად ფართო დიაპაზონში: რამდენიმე ჯოულიდან, რამდენიმე მეგაჯოულამდე. ენერგიის სიძნე გვივივი

ლოკალიზებულია მოცულობაში განზომილებით რამდენიმე მილიმეტრიდან რამდენიმე მეტრამდე. ზოგ შემთხვევაში მისი ენერგია თავს ავლენს სფერული ელვიდან ასეული მეტრის დაშორებით. არის ცალკეული შემთხვევები ათეული მეტრის დიამეტრის მანათობელი სფეროების დაკვირვებისა. როგორც წესი, თან ახლავს ელჭექს, ჩნდება ხაზოვანი ელვის დარტყმის წინ, ან შემდეგ როგორც უშეალოდ, ასევე დაგვიანებით. მაგრამ არის არც თუ იშვიათია შემთხვევები სფერული ელვა გაჩენილა წყარო, მზიან ამინდში, ან ჩაკეტილ მოცულობაში წინამორბედი მოცვლენების გარეშე.

საჭიროა მოიძებნოს მოდელი, რომელიც ყველა ამ მრავალსახოვან თვისებებს დააკმაყოფილებს. უპირველეს ყოვლისა ენერგიის წყარო რეალურად არსებობს: ეს არის ხაზოვანი ელვა. მას შეუძლია უზრუნველყოს ასეულობით სფერული ელვის ენერგიით მომარაგება, სავსებით აკმაყოფილებს ენერგიის კონცეტრაციის პირობას ლოკალიზებულ მოცულობაში, რაც გამომდინარებს მაქსველის განტოლებების ამონსნიდან: მაგრამ ხაზოვანი ელვა მოქმედებს მხოლოდ მიღიწავებში და, თანამედროვე თეორიის თანახმად, მას პრინციპულუდ არ შეუძლია უზრუნველყოს სფერული ელვის გაჩენა კარგ ამინდში, დაზურულ მოცულობაში და ისიც ათეული წამების განმავლობაში, იმავე დროს ხაზს ვუსვამთ ხაზოვანი ელვის კიდევ ერთ თვისებას: მისი დარტყმა არის, როგორც წესი, მოულოდნელი, უხილავი ელექტრული ველისაგან, რომელიც ატმოსფეროში არსებობს ყოველთვის, როგორც ელჭექურ, ასევე კარგ ამონდშიც და იცვლის თავის მნიშვნელობებს ფართო დიაპაზონში. ასე რომ, სფერული ელვის გამოჩენა კარგ ამინდში არავითარ მისტიკას არ შეიცავს. მთელი პრობლემა ის არის, რომ სფერული ელვისათვის საჭიროა მაღალი დაძაბულობის ველი ლოკალიზებულ მოცულობაში ელექტროდებიდან (ამ შემთხვევაში საგნებიდან და რელიეფიდან) დაშორებით და შედარებით ხანგრძლივი დროის მანძილზე, ეს კი ეწინააღმდეგება ელექტროსტატიკის ფუნდამენტურ კანონს: ველის მაქსიმუმი მუდამ არის უშეალოდ ელექტროდზე, განსაკუთრებით წვეტიან ზედაპირზე, სადაც კონცეტრირებულია მუხტები, ელექტრული ველის წყარო. სფერული ელვა არღვევს ამ კანონს. მრავალრიცხოვანი პირობებით აგებულია სხვადასხვა ბუნების ჰაერში მოლივლივე არაერთგვაროვნებებზე აიროვანი, თხევადი, მყარი, ფრაქტალურ მდგომარეობაში, მაგრამ ყველა ეს მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა. სწორედ აქ ჩვენ შემოგვყავს სფერული ელვისათვის განკუთვნილი ელექტროდინამიკის კანონი:

3. ელექტროდინამიკა სფერული ელვისათვის

არსებობს ელექტრული და მაგნიტური ველების დაძაბულობათა ნაკადების პირველადი, სასრულო, დისკრეტული, ელემენტარული, უნივერსალური სიდიდეები. მათ აქვთ საკუთარი მუდმივობის კანონი.

ეს ორი ელემენტი არსებობს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ფარული ენერგეტიკული სუბსტანციის სახით, მაგრამ გარკვეული ენერგეტიკული, ვექტორული და გეომეტრიული პირობების დაცვის შემთხვევაში იწყება ურთიერთმოქმედება და იქმნება მდგრადი დინამიური სტრუქტურები: ელემენტარული ნაწილაკები და ანტინაწილაკები, ელექტრომაგნიტური ტალღები, მუხტები, მასა და ინერცია.

პირობები, რომლის დროსაც პარველადი სუბსტანცია იწყებს ურთიერთმოქმედებას ერთმანეთთან და გარემოსთან, წარმოდგენილია მაქსველის განტოლებებში. პირობების დარღვევის შემთხვევაში ნაწილაკი იშლება კომპონენტებად [6-11].

ამგარად, სპეციალურად სფერული ელვისათვის ჩვენ შემოვიყვანეთ მაქსველის განტოლებების ფიზიკური შენარსის ახალი ფორმულირება, ემპირიულად დავუშვით, რომ მაქსველის განტოლებები არის ორი დამოუკიდებელი ელემენტის, ელექტრული და მაგნიტური კვანტების ურთიერთმოქმედების აუცილებელი პირობების მათემატიკური მტკიცებულება. პრინციპულად შესაძლებელია იმავე კვანტების ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არსებობა. სწორედ ამგარა, განცალკევებული ელექტრული, ან მაგნიტური კვანტების პარალელურად დალაგებული და მიმდევრობით ჩართული პაკეტები ფარულად არსებობს გარემოში. ისინი ჩვენი სამეცნიერო ხელსაწყოებისათვის მოწივდომებელია, მაგრამ გარკვეული პირობების დაცვის შემთხვევაში იწყება ურთიერთმოქმედება გარემოსთან რაც იწვევს ექსტრემალურ მოვლენებს, არა მარტო სფერულ ელვას, არამედ მთელ რიგ სხვა ჯერ კიდევ პრობლემურ მოვლენებსაც: შეკვალს, ტორნადოს, ტაიფუნს, ელჭექს. პირველადი სუბსტანციის ენერგია განისაზღვრება შემდეგი განტოლებებით

$$\frac{\Phi_{0E}^2}{2\varepsilon_0} \frac{L_E}{S_E} = \frac{h_l}{2} \frac{L_E}{S_E} = W_E \quad (5)$$

$$\frac{\Phi_{0H}^2}{2\mu_0} \frac{L_H}{S_H} = \frac{h_l}{2} \frac{L_H}{S_H} = W_H \quad (6)$$

აქ, $\Phi_{0E}=1,6 \cdot 10^{-19}$ C – ელექტრული ნაკადის კვანტია; $\Phi_{0H}=6,04 \cdot 10^{-17}$ Vb – მაგნიტური ნაკადის კვანტი; $h_l=2,89 \cdot 10^{27}$ J·m არის უნივერსალური კონსტანტა, მ. პლანკის მუდმივას სივრცული ანალოგი; L/S – ელექტრული და მაგნიტური კვანტების ენერგიის გეომეტრიული მახასიათებლები; S – კვანტის კვეთის ფართია; L – კვანტის სიგრძე კვეთის ღერძშე. ამ განტოლებებში პიტერციალური ენერგიის გეომეტრიული მდგრელი გახლებილია ორ ნაწილად: მრიცხველი არის კომპრესიის ძალის წყარო, ხოლო მნიშვნელი პქმნის დეკომპრესიის ძალას. ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არსებული კვანტებში შესაბამისი ძალები არის გაწონასწორებული და სტაციონარულ მდგრმარეობაში. არ ექვემდებარებიან კლასიკური ფიზიკის ისეთ ფუნდამენტურ მცნებებს, როგორიცაა მასა, ინერცია, ინდუქცია, მუხტი, ფარდობითობის თეორია, ზღვრული სიჩქარე. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ კვანტებმა დაიწყეს ურთიერთმოქმედება, ჩაირთვება ნიუტონის, ანშტანის, მაქსველის კანონები და მივიღებთ კარგად ცნობილ განტოლებებს:

$$\frac{\Phi_{0E}^2}{2\varepsilon_0} \frac{L_E}{S_E} + \frac{\Phi_{0H}^2}{2\mu_0} \frac{L_H}{S_H} = \frac{\mu_0 \Phi_{0E}^2 S_H + \varepsilon_0 \Phi_{0H}^2 S_E}{2\varepsilon_0 \mu_0 \delta^2 L_E L_H} = \frac{h_m c^2}{\delta} = 137 \frac{h_l}{\lambda_k} = mc^2 + h\nu + G \frac{m^2}{4\pi R} \quad (7)$$

$$G \frac{m^2}{4\pi R} = \frac{h_m^2 c^2 \lambda_p^2}{h \lambda_k^2} \frac{1}{4\pi R} = \frac{\mu_0 c^2 \Phi_E^2}{4\pi R} \frac{\lambda_p^2}{\lambda_k^2} = \frac{\Phi_E^2}{4\pi R \varepsilon_0} \cdot \frac{\lambda_p^2}{\lambda_k^2} = W_{gr} \quad (8)$$

განტოლება (5) არის ნიუტონის გრავიტაციული განტოლება გარდაქმნილი ელექტრული კვანტის ფორმატში. ამგვარი გარდაქმნა რომ სამართლიანია მტკიცდება კლასიკური ელექტროდინამიკის ინტეგრალური განტოლებებიდან. ელექტრომაგნიტური ტალღის ნახევარპერიოდის ნებისმიერი სიხშირისა, ამპლიტუდისა და პირველადი წყაროდან მანძილისგან დამოუკიდებლად ენერგიის გამოსახულება შეიცავს უნივერსალურ მუდმივებს:

$$W_E = \iiint_{\theta,\varphi,t} \frac{\varepsilon_0 E_m^2}{2} cr^2 \sin^2 \omega t \cdot \sin^3 \theta \cdot d\theta \cdot d\varphi \cdot dt = \frac{2\pi}{3} \varepsilon_0 E_m^2 r^2 c T \quad (9)$$

$$W_H = \iiint_{\theta,\varphi,t} \frac{\mu_0 H_m^2}{2} cr^2 \sin^2 \omega t \cdot \sin^3 \theta \cdot d\theta \cdot d\varphi \cdot dt = \frac{2\pi}{3} \mu_0 H_m^2 r^2 c T \quad (10)$$

$$W_{EH} = \iiint_{\theta,\varphi,t} E_m H_m \sin^2 \omega t \cdot \sin^3 \theta \cdot d\theta \cdot d\varphi \cdot dt = \frac{4\pi}{3} E_m H_m r^2 T \quad (11)$$

მიღებული მუდმივი სიდიდებიდან გამოვყოთ უნივერსალური მუდმივები:

$$\varepsilon_0 E_m c \iint_{\varphi,t} r_0 \sin \alpha \cdot d\varphi \cdot dt = 2\varepsilon_0 E_m r_0 c T = \Phi_E = Q = ne = n\Phi_{0E} = n \cdot 1,6 \cdot 10^{-19} C \quad (12)$$

$$\mu_0 H_m c \iint_{\theta,t} \sin \alpha \cdot \sin \theta \cdot d\theta \cdot dt = \frac{2}{\pi} \mu_0 H_m r_0 c T = \Phi_H = n \cdot 6,04 \cdot 10^{-17} Vb \quad (13)$$

ამ ელემენტარულ მუდმივებიდან ვღებულობთ 4 კომბინირებულ უნივერსალურ მუდმივას:

$$\frac{\Phi_{0E}}{\varepsilon_0 c} = \frac{\Phi_{0H}}{\mu_0 c} = \Phi_{0E} \Phi_{0H} = 9,4 \cdot 10^{-36} J \cdot s = h_0 = \frac{h_p}{137} = \alpha \cdot h_p \quad (14)$$

$$h_l = \frac{\Phi_{0E}^2}{2\varepsilon_0} = \frac{\Phi_{0H}^2}{2\mu_0} = 2,89 \cdot 10^{-27} J \cdot m \quad (15)$$

$$h_{ml} = \frac{\mu_0 \Phi_{0E}^2}{2} = \frac{\varepsilon_0 \Phi_{0H}^2}{2} = 1,6 \cdot 10^{-44}, kg \cdot m \quad (16)$$

$$h_{mt} = \varepsilon_0 \mu_0 \Phi_{0E} \Phi_{0H} = \frac{\alpha h_p}{c^2} = 5,37 \cdot 10^{-51}, kg \cdot s \quad (17)$$

მიღებული მუდმივები ფორმალურად ერთი და იგივე ელემენტებისაგან არის აგებული, მაგრამ შინაარსობრივად ისინი არსებითად განსხვავდება ერთმანეთისგან. განტოლება (14) მ. პლანკის კარგად ცნობილი მოქმედების კვანტის კომპონენტების შემადგენლობას ასახავს. მუდმივა (15)-ს შესაბამისად შეიძლება ვუწოდოთ განმარტოებული, ელექტრული, ან მაგნიტური ენერგიის სტაციონალური მდგომარეობის კვანტი. მუდმივების (16)-ს და (17)-ს გამოსახულებები მასის (ინრცის) კვანტებია. ამ მუდმივების შედარება ერთმანეთს შორის საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ რა განსხვავებაა მათ შორის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ენერგიისა და მასის მუდმივების შედევების შედევები: ენერგეტიკული მუდმივა არსებობს განცალკევებულ კვანტებშიც, ე. ი. ის მათი თანდაყოლილი და განუყოფელი მასასიათებულია. მასის (ინრცის) მუდმივა კი ჩნდება მხოლოდ ელექტრული და მაგნიტური კვანტების გაერთიანების შემდეგ. აქედან გამომდინარეობს დასკვნა: მასა (ინრცია) არის ნაწილაკის შეძენადი და დაკარგვადი თვისება. ძირითადი განსხვავება ენერგიისა და მასას შორის: მასა არის ელექტრული და მაგნიტური კვანტების ურთიერთმოქმედების შედევები. თუ ურთიერთმოქმედება შეწყდა, მასა გაუტოლდება ნულს. კარგად ცნობილი განტოლება:

$$W_k = mc^2 \quad (18)$$

სხვა არაფერია, თუ არა ელემენტარული ნაწილაკის შინაგანი კინეტიკური ენერგია, მას თან ახლავს შინაგანი პოტენციალური ენერგიაც:

$$W_p = ma\lambda_c \quad (19)$$

სადაც ა არის ელემენტარული ნაწილაკის შინაგანი აბსოლუტური აჩქარება ლოკალიზაციის მოცულობაში, λ_c – კომპტონის ტალღის სიგრძეა მოცულული ნაწილაკისათვის. ნაწილაკი პულსირებს ლოკალიზებულ სივრცესთან ერთად. მასა უტოლდება ნულს ნაწილაკის დაშლის შემთხვევაში. მაშინ

$$m=0, \quad W_k=W_p=0, \quad (20)$$

მასის დაკარგვა არ ნიშნავს ენერგიის გაქრობას, ის რჩება კომპონენტებად დაშლილი, ფარული სახით. (2) და (3) განტოლებების თანახმად:

$$W_H \neq 0, \quad \text{და} \quad W_E \neq 0. \quad (21)$$

ასეთ შემთხვევაში სიჩქარე c არ წარმოადგენს მუდმივ სიდიდეს და შეიძლება მიიღოს ნებისმიერი მნიშვნელობა ნულიდან უსასრულობამდე.

მატერიის კინეტიკური W_k , პოტენციალური W_p და სითბური Q ენერგიები უტოლდებიან ნულს, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს ენერგიის არსებობის უარყოფას, ის გადადის ახალ მდგომარეობაში ახალი თვისებებით: ნიუტონის, აინშტაინის, მაქსველის ცნობილი კანონები გარევეული საზღვრების მიღმა კარგავენ ძალას.

მათ ჩანაცვლებს კანონები, ორმლებშიც მასა არ ფიგურირებს. ახალი თვალსაზრისით პირველად, ჰეშმარიტად ელემენტარული არის ორი ნაწილაკი, ელექტრული და მაგნიტური კვანტი. ყველა დანარჩენი ნაწილაკები მათი ენერგეტიკული და კონსტრუქციული მოდიფიკაციებია. ტერმინი “უძრაობის მასა” სუბიექტური და მცდარია. ნებისმიერი “უძრაობის მასის” მქონე ნაწილაკი შეიძლება წარმოდგენილ იქნას როგორც ფოტონი. (16) \div (15) განტოლებებიდან ვღებულობთ:

$$m = \frac{W}{c^2} = \frac{h_{lm}}{\alpha \lambda} = \frac{h_{tm}}{\alpha} \cdot \nu = \frac{h_p}{c^2} \cdot \nu = \frac{\alpha \Phi_{0E} \Phi_{0H}}{c^2} \cdot \nu \quad (22)$$

ფოტონი და ნაწილაკი ერთი და იმავე ელემენტებისგან არის აგებული. განსხვავება მათ შორის არის მხოლოდ გავრცელების ხასიათში. ეგრეთ წოდებული “უძრაობის” მასის მქონე ნაწილაკისათვის გვაქვს:

$$\text{div}\Pi = 0, \quad (23)$$

$$\text{rot}\Pi = \text{rot}[EH] = E\text{div}H - H\text{div}E + (H\nabla)E - (E\nabla)H \neq 0, \quad (24)$$

ფოტონისათვის

$$\text{rot}\Pi_1 - \text{rot}\Pi_2 = 0, \quad \text{div}\Pi = \text{div}[EH] = H\text{rot}E - E\text{rot}H \quad (25)$$

Π_1 და Π_2 – პოინტინგის ვექტორებია ნაწილაკისა და ანტინაწილაკისათვის.

ამგვარად, ნებისმიერი “უძრაობის მასის” მქონე ნაწილაკი იგივე ფოტონია ჩაკეტილი ლოკალიზებულ მოცულობაში, არავითარ უძრაობას იქ ადგილი არა აქვს. ტერმინი ”უძრაობის მასა” არის ვირუსი, რომელიც ამაზინჯებს რეალურ პროცესს: აქ ჩვენ გვაქვს ელექტრომაგნიტური რხევა რეზონატორულ რეჟიმში. მასის გარეშე ენერგია აქვს ერთმანეთისგან განცალკევებულ ელექტრულ და მაგნიტურ კვანტებს განტოლებებში (2) და (3). ასეთ შემთხვევაში არავითარ რხევებს ადგილი არა აქვს. ჭეშმარიტად უძრაობას ადგილი აქვს სწორედ ამ მდგომარეობაში. განცალკევებულ ელექტრულ და მაგნიტურ სუბსტანციებში დრო არ მიედინება, სისტემის სათი გაჩერებულია.

სფერული ელვის მეორე თავისებურება არის ლოკალიზებულ მოცულობაში ენერგიის სიმკვრივის ისეთი დონე, როდესაც იწყება წენარი ელექტრული განმუხტვა ჰაერში რელიეფიდან და საგრძნებიდან დაშორებით. ზოგადად ამგვარი პირობების შესაძლებლობა უკვე მოცემულია ტალღური განტოლების ამოხსნაში. სფერული ელვისათვის შემოყვანილი ელექტროდინამიკის გათვალისწინებით შესაძლებელია ხაზოვანი ელვის აპერიოდული გარდამავალი პროცესის სახით განვითარება. პრაქტიკულდ ამგვარი პირობა შეიძლება რეალიზებულ იქნას ხაზოვნი ელვის განმუხტვის შედეგად.

ელვის არხი წარმოადგენს თავისებურ ანტენას, მხოლოდ რამდენიმე მნიშვნელოვანი განსხვავებით: პირველი, ანტენას ენერგია მიეწოდება შიგა წყაროდან ფიდერის საშუალებით, არხი კი ენერგიას დებულობს გარე სივრციდან და მიმართულია არხის მოკლე ჩაკეტვის ცენტრისაკენ; ანტენა გამოისხების დროს პარამეტრებს არ იცვლის, არხი კი სწრაფად ცვალებადი სტრუქტურაა. ის მყისიერად ჩნდება და იკარგება. ანტენა ასხივებს პარმონიულ რხევებს, არხში გამავლი დენა აპერიოდული ხსითისაა.

ანტენაში პირდებოტორული ძალები და დაჭიმულობის ტენზორები მიმართულია ცენტრიდან გარე სივრცისაკენ, შეიძლება ითქვას, რომ ანტენა ისვრის სივრცეში ელექტრომაგნიტური ველების პაკეტებს. არხში კი, პირიქით, ძალები და ტენზორები მიმართულია მოკლე ჩაკეტვისაკენ. ის კუმშავს ენერგიას საფეხურებიანი ლიდერების შეხვედრის ცენტრში. იმავე დროს დენის მიერ ინდუცირებული ველი კეტავს არხს.

არხი იშლება, სივრცეში რჩება და სტაციონარულ მდგომარეობაში გადადის ელექტრული ველის პაკეტი, რომელსაც შეუძლია იარსებოს ამ მდგომარეობაში განუსაზღვრული ვადით. ეს დასკვნა გამომდინარეობს სფერული ელვისათვის ჩამოყალიბებულ ელექტროდინამიკიდან, ეწინააღმდეგება კლასიკური ელექტროდინამიკის ძირითად აქსიოდას, მაგრამ სრულ თანხმობაშია კვანტური ფიზიკის მცნებებთან.

ჩვენის აზრით წინააღმდეგობა გამოწვეულია ვირუსით, რომელიც ზის კლასიკური ელექტროდინამიკის საფუძვლებში და კატეგორიულად ირწმუნება: ელექტრომაგნიტურ ტალღას უძრაობის მასა პრინციპულად არ გააჩნია. ფოტონის გაჩერება შეუძლებელია და ასე შეძლებ. ეს არის ვირუსული წარმოშობის დოგმა. მე-3 ნახაზზე სქემატურად ნაჩვენებია, თუ როგორ წარმოიშვება სფერული ელვა. ელექტრული კლასტერის ცენტრის ლოკალურ მოცულობაში ექვივალენტურმა ტემპერატურამ შეიძლება მიაღწიოს მილიარდ გრადუსებს და ვაკუუმში შენარჩუნებულ იქნას განუსაზღვრული ვადით. მას შეიძლება ვუწოდოთ პოტენციალური ტემპერატურა.

თერმობირთვული პლაზმისტები ოპერირებდნენ, როგორც წესი, ტემპერატურით, რომელიც იყო კინეტიკური და გამოირჩეოდა თავისი არამდგრადობით. სწორედ ეს იყო მთხ-ის ყველა დანადგარის „აქილევსის ჭუსლი”. საკითხი პოტენციალური ტემპერატურის შესახებ განხილული იქნა სტატიაში [10].


გარდა სფერული ელვისა ატმოსფეროში არსებობს მთელი რიგი სხვა, ანომალიების მატარებელი მოვლენები: ციკლონი, ტორნადო, შეკალი, ელჭექი, სეტეფა. მათი მთელი რიგი თვისება და პარამეტრები ჯერ კიდევ პრობლემას წარმოადგენს თანამედროვე მეცნიერებისათვის. ისინი გარკვეულ ინტერპრეტაციას ღებულობს, თუ დაგუშვებთ მე-3 ნახშე წარმოდგენილი ელექტრული კლასტერის დიდი მასშტაბის სტრუქტურების პერიოდულად წარმოქმნას ატმოსფეროში.

გარკვეულ პირობებში მყარდება კავშირი ელექტრულ კლასტერის სუბსტანციასა და ჰაერის სითბურ ენერგიას შორის. წარმოიშვება თავისებური მექანიზმი, რომლის მარგი ქმედების კოეფიციენტი 100%-ზე მეტია. ქაოსური სითბური ენერგია გარდაიქნება ორგანიზებულ ენერგიად ქარიშხლებისა და ელჭექების სახით. ეს პროცესი არ ეწინააღმდეგება თერმოდინამიკის საწყისებს:

$$S_c = S_a + S_e; \quad S_a \gg S_e; \quad S_a - dS_a = S_e + dS_e \rightarrow \lim S_c; \quad dS_c = dS_a + dS_e > 0 \quad (26)$$

სადაც S_c – ატმოსფეროსა და ელექტრული კლასტერის საერთო ენტროპია; S_a – ატმოსფეროს ენტროპია; S_e – ელექტრული კლასტერის ენტროპია.

ჰაერში გაფანტული ქაოსური ენერგია გარდაიქნება კლასტერების ორგანიზებულ ენერგიად.



ნახ.3. სფერული ელვის წარმოქნის ხეება.

ა) ღრუბელსა და მიწას შორის განშენების ღროს ნაზოვანი ელვის არხი შეიძლება შევადართ ანტენას, რომლის გარშემო გალიოსფერი ელექტრონაგნიტური ველების კლასტერი; ბ) კლასტერზე მოქმედებს ატმოსფერული ელექტრული ველის შეგერმვავი ძალა T_n ; გ) ნაზოვანი ელვის არხი დაიშალა, ტალღის გამოხატვება კი არ შედგა, კლასტერი აღმოჩნდა ატმოსფერული ველის პოტენციალურ “ტომარაში”; დ) კლასტერი იძლება ელექტრულ და მაგნიტურ კომპონენტებად; ე) ელექტრული კომპონენტი დარჩა “ტომარაში”, მაგნიტური კომპონენტი გაიტქორინა სივრცეში ვ სიჩქარით. 1–ელექტრული და მაგნიტური ველების ერთანთ კლასტერი; 2–ელექტრული კომპონენტი დაშლის შემდეგ; 3–მაგნიტური კომპონენტი დაშლის შემდეგ; 4 და 6–მაგნიტური კომპონენტები სივრცეში, შესაძლებელია ტაქიონები; 5–სფერული ელვა

4. მოკლე ისტორია

მთს-ის ისტორიის დასაწყისად ითვლება 1950 წელი. პროლოგი იყო საქმაოდ სენსაციური: იდეის ავტორად ოფიციალურად აღიარებულია საზღვაო სამსახურის ეფრეიტორი, ვინმე ოლეგ ლავრენტიევი, რომელმაც პროექტის მონახაზი გააგზავნა მოსკოვში მთავრობის სახელზე. მან თავიდანვე მიიქცა წამყვანი ფიზიკოსების ფურადღება. არავინ უწყის თუ რა ბედი ეწეოდა მას, რომ არ წამოსწრებოდა მეორე სენსაცია. 1951 წელს არგენტინის პრეზიდენტმა ხუან პერონმა პრესკონფერენციაზე გამოაცხადა, რომ არგენტინაში უკვე განხორციელებულია თერმობირთვული სინთეზი გერმანული წარმოშობის არგენტინელი ფიზიკოსის ვინმე ალბერტ რიხტერის მიერ და იქვე გადასცა მას ჯილდოდ სოლიდური თანხა.

ამ დროიდან დაიწყო ინტენსიური კვლევა წამყვანი ქვეყნების ლაბორატორიებში ჯერ სრულიად გასაიდუმლოებულად, მაგრამ მალე ცხადი გახდა, რომ არავითარი მთს სინამდვილეში არ განხორციელებულა და ცალცალკე სახელმწიფოები მას ვერ განახორციელებენ. 1956 წლიდან ჩამოყალიბდა საერთაშორისო პროგრამა. 1970-იანი წლებისათვის გაირკვა, რომ ეს პრობლემა შეიცავს იძდენ კითხვის ნიშანს, რომ საერთაშორისო ძალისხმევაც კი არასაკმარისა მათ დასაძლევად.

ამ სტატიის ავტორმა დაიწყო კვლევა საკუთარი ინიციატივით 1970 წლიდან სოხუმის ფიზიკურ-ტექნიკური ინსტიტუტში (მოკლედ სფტი, ადრე ს/კ 0908). მას საფუძვლად დაედო სფერული ელვის პარამეტრების იდეალური დამთხვევა ლოუსონის კრიტერიუმის მოთხოვნებთან. პრობლემა იყო სფერული ელვის ბუნების ამოქსნა.

დაბადა ბუნებრივი კითხვები: ხომ არ შეიძლება სფერული ელვის უნიკალური დამთხვევა ლოუსონის კრიტერიუმის პირობებთან გამოყენებულ იქნას მართვადი თერმობირთვული რეაქციის განსახორციელებლად? პასუხები მიგნებულ იქნა რამდენიმე თვის ძიების შემდეგ. პირველი მხარდაჭერა იდეამ მიიღო სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის, სუბტროპიკული ინსტიტუტისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფილიალის ფიზიკოსების მხრიდან 1975 წელს, რაზედაც გაიცა შესაბამისი რეკომენდაცია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში და ცნობა აღმოჩენებისა და გამოგონებების კომიტეტისათვის.

საქართველოს აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტში საპასუხოდ დაიწერა გამანადგურებელი რეცენზია. სოხუმის რეკომენდაცია საკმარისი აღმოჩნდა მხოლოდ იმისათვის, რომ გამოქვენებულიყო სტატიის პოპულარული ვარიანტი [11].

1990-იან წლებისათვის მდგომარეობა ფიზიკაში მკეთრად შეიცვალა. მის წიაღში ჩაისახა ახალი მცნებები: სიმები, ბნელი ენერგია, ჰიგიენის ბოზონები, არალოკალური ურთიერთმოქმედება და სხვა უგზოტიკური ტერმინები. აღიარებულ იქნა, რომ თანმედროვე მეცნიერებამ იცის მხოლოდ 4% იმისა, რაც რეალურად არსებობს.

ფაქტობივად ფიზიკაში დაიწყო მორიგი რევოლუცია, ის, რაც აბსოლუტურად მიუღებლად ითვლებოდა 70-იან წლებში, აღბათურად შესაძლებლად ითვლება ოცდევროვე საუკუნის დასაწყისში, რევოლუცია ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული. მიზეზი პროცესის ამგვარი გაჭიანურებისა არის „სამეცნიერო ვირუსები“. მათთან ბრძოლის ინსტრუმენტი კი არის ანომალური მოვლენა, რომლის კლასიკური ნიმუშია იშვიათი ანომალია „სფერული ელვა“.

5. დასკვნა

მოახლოვებული ენერგეტიკული კრიზისი და მძიმე შედეგებიანი სტიქიური კატასტროფები მიგვანიშნებს მეცნიერების ღრმა სტანდაციაზე. ანომალური მოვლენების არსებობა ბუნებაში მიანიშნებს აქსიოდურ შეცდომებზე თანამედროვე მეცნიერების კანონებში, ხოლო მათზე აგებული თეორიები დაავადებულია „სამეცნიერო ვირუსებით“. მენეჯმენტის ბიუროკრატიული აპარატი

უშვებს პრინციპულ მეთოდოლოგიურ შეცდომას სამეცნიერო პროექტების დაფინანსების დროს: ექსპერტებს, რომლებიც ვირუსმატარებელი ძველი თეორიების ერთგულნი არიან, გრანტების განაწილებისას ანიჭებს დიქტატორულ უფლებამოსილებას [12].

მეცნიერის პირდაპირი მისია არის ამოხსნას სწორედ ის, რაც ექსპერტისათვას ჯერ კიდევ უცხო ხილია. როგორც ისტორია გვიჩვენებს, ყველაზე ზარალიანი სწორედ წინასწარ გათვლილი, „ვირუსებით” დაავადებული პროექტებია. კერძოდ, ამ მოსაზრებას ადასტურებს მთს-ის პროგრამა, რომელიც წინასწარ იყო დაგეგმილი „ვირუსებიანი” თეორიების საფუძველზე. მასზე დაიხარჯა ათეულობით მიღიარდი დოლარი, შედეგი კი გამოვიდა ნული. მიღიარდები წყალმა წაიღო. ამჟამად გამოყოფილი თითქმის 2 ათეული მიღიარდამდე ევრო პროექტ ITER-ზე შესაძლებელია ისევ წაიღოს წყალმა, თუ არ იქნა გათვალისწინებული ანომალიები და უახლესი რევოლუციური გარდატეხები ფიზიკაში.

ლიტერატურა:

1. Управляемый термоядерный синтез: доклад о современном состоянии проблемы. Импакт, ЮНЕСКО, № 1 – 2, 1982
2. კავილაძე მ. ენერგიის წყაროები და მათი პერსპექტივები საქართველოში. გამომცემლობა “ნეკერი”, თბილისი, 2005
3. Управляемый термоядерный синтез. Физический Энциклопедический Словарь. Гл. редактор А. М. Прохоров, 1983
4. Смирнов Б.М.. Наблюдательные свойства шаровой молнии. УФН, том 162, №8, 1992
5. Араго Ф. Гром и молния. пер. с французского, Санктпетербург, 1859
6. ბერია გ. იშვიათი და ექსტრემალური მეტეოროლოგიური მოვლენების (სფერული ელვა, მძლავრი ელჭექის ღრუბლებისა და ქარბორბალას) ელექტროდინამიკური მოდელი. სადისერტაციო ნაშრომი, (04.00.23 – ატმოსფეროსა და ჰიდროსფეროს ფიზიკა), 2005.
7. Berria G. On the Problem of Ball Lightning Origin. Part 1. An Electric String Model. Proceedings 6th International Symposium on Ball Lightning (ISBL99) University of Antwerp, Belgium 1999
8. Берия Г. К вопросу о природе смерча. Труды инст. Геофизики им. М. Нодиа, том LVIII, 2004
9. Berria G. About anomalies in the Earth Atmosphere. Proceedings 9th International Symposium on Ball Lightning, Eindhoven University of Technology. Netherlands, 2006
10. ბერია გ. ატმოსფერული კატასტროფები და მათი გამომწვევი მიზეზების ამოხსნა ატმოსფეროში ფარული ენერგიის არსებობის დაშვებით. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტ. შრომები, ტომი №117, 2011
11. ბერია გ. რა არის ბურთისებრი ელვა ? „მეცნიერება და ტექნიკა” №12, 1976
12. ბერია გ. როგორი უნდა იყოს სამეცნიერო კონკურსი ? „მეცნიერება და ტექნოლოგიები” № 4 – 6, 2010.

**THE ALTERNATIVE MODEL OF THE CONTROLLED
THERMONUCLEAR SYNTHESIS**

Beria Guram N.

*Academical Doctor of Science,
Corresponding-Member of Engineering Academy of Georgia
E-mail: berria.gurram255@gmail.com*

Summary

The energetically problems of Georgia are components problems of all World. Energetically crisis threatens by our civilization in nearest 50 years: energetically recourses will be exhausts. Unique radically exist from this situation is Controlled Thermonuclear Sintesis (CTS). But researchers meet contrary serious difficulties by realization this reaction. Author suggested version for explanation such situation to acknowledgment existents of scientific viruses in laves of science. These are axioms mistakes, which turns in dogmas. We supposes, what anomalies in nature are indicators of scientific viruses, in particular a ball lightning is universal anomalous, which we can to use for open the viruses in laves of electrodynamics and to liquidate them. We will open new way for realization of controlled thermonuclear synthesis. The ball lightning is anomaly which comprises still the fundamental law of the nature unknown to a science.

**АЛЬТЕРНАТИВНАЯ МОДЕЛЬ УПРАВЛЯЕМОГО
ТЕРМОЯДЕРНОГО СИНТЕЗА**

Берия Гурам Н.

*Академический доктор наук,
Член-Корреспондент Инженерной Академии Наук
E-mail: berria.gurram255@gmail.com*

Резюме

Энергетические проблемы Грузии – компонента проблем всего мира. Согласно заключению специалистов, нашей цивилизации угрожает энергетический кризис в ближайшие несколько десятков лет вследствии истощения ископаемых ресурсов. Единственный радикальный выход из этого положения - это осуществление Управляемого Термоядерного Синтеза (УТС), но его реализация наталкивается на серьезные непрогнозируемые трудности, преодоление которых по сей день остается проблемным. Автор выдвигает версию, что причина такого положения – существование «научных вирусов». Это аксиомные ошибки, которые превратились в догмы. Их обнаружение и преодоление возможно с помощью аномалий. Шаровая молния, редкое атмосферное явление, является уникальной и универсальной аномалией. Шаровая молния есть аномалия, которая содержит в себе еще неизвестный науке фундаментальный закон природы. Автор доказывает, что анализ ее свойств позволил раскрыть ее природу, с ее помощью обнаружить и устраниить «вирус» и как следствие открыть новый путь для Управляемого Термоядерного Синтеза.